

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი

„ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონში (სსმ., 1999წ., №4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის “გ” ქვეპუნქტი:
„გ) იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებისათვის სარგებლობაში დადგენილი წესით გამოყოფილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იქნა აღნიშნული კანონის ამოქმედებიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.“

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:
„2¹. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე საკუთრების მინიჭებისას მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე საზღაური განისაზღვროს მოქმედი მიწის ნორმატიული ფასის მიხედვით.“

3. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:
„5¹ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებისათვის საზღაურის გადახდა მიწის კერძო საკუთრებაში მიმდებ სუბიექტს არ ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი მიწის გადასახადისაგან.“

4. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების განკარგვა ხდება იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის არსებული წესით არის დამაგრებული „სახელმწიფო ქონების პრივატიზების

შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთანავე, მიწის ნაკვეთის საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს განვადებით, არა უმეტეს ორი წლის განმავლობაში.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი, 2006 წლის